ბრძანება № 5-94

02. 11. 2021წ.

გორი

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების ცენტრის სპეციალისტის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" და „ზ" ქვეპუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის #125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 დეკემბრის N09-58 გადაწყვეტილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 02 აპრილის N7-07 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების" საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების ცენტრის სპეციალისტის შესარჩევად 1 ვაკანტურ თანამდებობაზე (შტატგარეშე თანამშრომელი).

2. კონკურსი გამოცხადდეს 2021 წლის 02 ნოემბერს.

3. დოკუმენტაციის წარმოდგენა დაიწყოს 2021 წლის 08 ნოემბრიდან და დამთავრდეს 2021 წლის 17 ნოემბერს 17 საათზე სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის I კორპუსში მის.: ქალაქი გორი, ჭავჭავაძის 53, ოთახი 118.

4. სამეცნიერო კვლევების ცენტრის სპეციალისტის პოზიციის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word; Microsoft Office Excel; Microsoft Office PowerPoint; Microsoft Office Outlook) კარგად ცოდნა;

გ) ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა.

5. სამეცნიერო კვლევების ცენტრის სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებს სასურველია ჰქონდეთ არანაკლებ 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება.

6. განისაზღვროს სამეცნიერო კვლევების ცენტრის სპეციალისტის შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა:

ა) ცენტრის უფროსის დავალებების შესრულება თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) ცენტრის უფროსისათვის მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დაგეგმვასა და კოორდინაციაში ხელშეწყობა;

გ) ცენტრის უფროსის დავალებით ანგარიშის წარდგენა შესრულებული სამუშაოების შესახებ;

დ) ცენტრის მიერ დაგეგმილ ღონისძიებების კოორდინირება;

ე) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობის მიღება შესაბამისი პროექტების შემუშავების საკითხებში;

ვ) უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და ცენტრის უფროსის სხვა დავალებების შესრულება და ანგარიშვალდებულება მათ წინაშე.

7. სამეცნიერო კვლევების ცენტრის სპეციალისტის თანამდებობაზე შესარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადი განცხადება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე;

ბ) პირადი მონაცემები (Curriculum Vitae);

გ) 2 რეკომენდატორი და მათი საკონტაქტო ინფორმაცია;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი;

ე) ერთი ფოტო სურათი 3X4;

ვ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომის ასლი დედნის წარმოდგენით);

ზ) კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში);

თ) სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.

8. კონკურსში მონაწილეობის მსურველი აპლიკანტის შერჩევა განხორციელდეს ორ ეტაპად: განცხადების გადარჩევით და გასაუბრებით (გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად).

9. აპლიკანტები (ვის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც აკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს) წინასწარი შეტყობინების (ტელეფონით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით) საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლიან ზეპირ გასაუბრებას (კონკრეტული თარიღი და დრო განსაზღვრულია წინამდებარე ბრძანებით) და გასაუბრების შედეგები აპლიკანტებს ეცნობებათ პირადად.

10. წინამდებარე ბრძანების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვაკანსიისათვის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება თვეში 480 (ოთხას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

11. ხელშეკრულების გაფორმებიდან და დასაქმებულის მიერ სამუშაოს დაწყებიდან პირველი 3 თვის პერიოდი მიიჩნევა გამოსაცდელ ვადად. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუ შრომითი ურთიერთობა შეწყვეტილი არ იქნება გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა ავტომატურად დაექვემდებარება მხარეებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნორმებს.

12. სამეცნიერო კვლევების ცენტრის სპეციალისტის შერჩევის მიზნით კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) გიორგი ხორბალაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ციური დურული - სასწავლო პროცესის მართვის სამსაურის უფროსი - კომისიის წევრი;

გ) დავით კვერნაძე - იურიდიული სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;

დ) იოსებ ალიმბარაშვილი - კანცელარიის უფროსი - კომისიი წევრი;

ე) ნიკოლოზ ახალკაცი - სამეცნიერო კვლევების ცენტრის უფროსი - კომისიის წევრი.

13. წინამდებარე ბრძანების მე-12 პუნქტით შექმნილ კომისიას დაევალოს სამეცნიერო კვლევების ცენტრის სპეციალისტის შერჩევა მოქმედი კანონმდებლობისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 02 აპრილის N7-07 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების" საფუძველზე.

14. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების ცენტრის სპეციალისტის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანების გამოქვეყნება დაევალოს:

ა) ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე) - სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიას;

ბ) სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე - სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას.

15. კონკურსის პირველი ეტაპი (განცხადების გადარჩევა) დასრულდეს არაუგვიანეს 2021 წლის 19 ნოემბერს, მეორე ეტაპი (გასაუბრება) ჩატარდეს 2021 წლის 22 ნოემბერს 14 საათზე, ხოლო საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარედგინოს არაუგვიანეს 2021 წლის 25 ნოემბერს.

16. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.

17. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

18. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ხორბალაძე